ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი 04.04.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ლაშა მკურნალიძე - ასოციაციის „სკოლა - ოჯახი - საზოგადოება“ აღმასრულებელი დირექტორი; საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაია მაღლაკელიძე - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, სხდომის მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) პროგრამის კოორდინატორი;
პავლე თვალიაშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი;
თინათინ ცერცვაძე - დებატებისა და განათლების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი;
ზვიად მიმინოშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
რამაზ გიუნაშვილი - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი.

ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
1. ნინო მურვანიძე - შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის დირექტორი;
2. შალვა ბერიძე - შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის სასწავლო დარგის მენეჯერი;
3. ბესიკ ნიპარიშვილი - შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის დირექტორი;
4. მადლენა მახარაძე - შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიის დირექტორი;
5. ბელა ბოლქვაძე - შპს ცოდნის დირექტორი;
6. ია ხურცილავა - შპს ეროვნულ სკოლა გიმნაზიის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტები:
ნოდარ ანგურიძე;
დავით ჭეიშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - ლაშა მკურნალიძე.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 17:10 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თავმჯდომარემ სხდომის მდივნის (შემდგომში მდივანი) მოვალეობის შესრულება დაავალა მაია მაღლაკელიძეს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს ცოდნაში (ს/კ: 229722324) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს ეროვნულ სკოლა გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა დაწესებულებაში ვიზიტის განმახორციელებელი საექსპერტო ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ჭეიშვილმა.

დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 28 თებერვლის №101-ე ბრძანების საფუძველზე 2014 წლის 13 მარტს ექსპერტთა ჯგუფი, დაწესებულების კონტინგენტის გაზრდის განაცხადში მითითებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, მივლენილ იყო ქ. ბათუმში, შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიან საერო ელიტარულ საშუალო სკოლაში. დავით ჭეიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია მოიპოვა სხვა მისამართზე (ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. N65-67 375 კვ.მ და 410 კვ.მ). მისამართის ცვლილების შესახებ, დაწესებულებამ აცნობა ცენტრს. ამჟამად დაწესებულებამ თხოვნით მიმართა ცენტრს კონტინგენტის 140 მოსწავლით გაზრდის თაობაზე.

დაწესებულება განთავსებულია 5 სართულიან შენობაში სადაც 26 ოთახია, თითოეული ოთახის საშუალო ფართობი 25 კვ.მ. სკოლაში 18 ფინანსური კლასია. შენობაში გარდა საკლასო ოთახებისა არის საცურაო აუზი, ცეკვის დარბაზი, სააქტო დარბაზი, არასტანდარტული ზომის სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი, კომპიუტერული ლაბორატორიები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ხელოვნების კაბინეტი, სამედიცინო კაბინეტი. შენობის საერთო ფართის ოდენობა შეადგენდა - 1635.06 კვ.მ.

შენობის გარეთ განთავსებული იყო 2 არასტანდარტული ზომის გარე სპორტული მოედანი ფრენბურთისა და კალათბურთისთვის. დაწესებულებას მოსწავლეთათვის გააჩნია 443 ერთადგილიანი მერხი და სკამი, დამატებით 77 სკამი, 20 კომპიუტერი, 29 ბუკი, 2 პრინტერი, 2 პროექტორი, 3 „კომბაინი".

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შესწავლამ აჩვენა, რომ სკოლის სასწავლო გეგმა და მასწავლებლების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. მასწავლებლებს თანამდებობები დაკავებული აქვთ „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველო ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" მოთხოვნათა შესაბამისად.

ბიბლიოთეკაში გადამოწმდა I – XII კლასის სახელმძღვანელოები, სადაც წარმოდგენილი იყო სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სახელმძღვანელოს მინიმუმ თითო ეგზემპლიარი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია 3 კომპიუტერით, ინტერნეტით. მისი წიგნადი ფონდი შეადგენს 2890 ერთეულს. ბიბლიოთეკაში არის საძიებო კატალოგი როგორც ქაღალდის მატარებელზე, ისე ელექტრონული ფორმით (OpenBiblio).

მატერიალური რესურსის ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, იჯარის ხელშეკრულებით, შესაბამისი ბუღალტრული დოკუმენტაციით - სასაქონლო ზედნადებებით, საგადასახადო ანგარიშფაქტურებით, მიღება-ჩაბარების აქტებით, ინვენტარიზაციის აქტებით, ვიზუალური დათვალიერებით.

სხდომის თავმჯდომარემ ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენ მოსწავლეზე იყო გათვლილი თითოეული სასწავლო კლასი. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ თითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატებოდა 20-ს. დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეული ოთახის საშუალო ფართობი შეადგენდა 25 კვ.მ. ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას რაიმე დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდებოდა, თუ რა რაოდენობის მოსწავლე შეიძლებოდა ყოფილიყო კლასში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ასეთი დოკუმენტი შემუშავებული ჰქონდა. ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, თუ მოსწავლეთა რაოდენობა კლასში არ აღემატებოდა 20-ს, მაშინ გამოდიოდა, რომ 25 კვ.მ ოთახში თითო მოსწავლეზე გათვალისწინებული იყო 1კვ.მ ფართი, რაც მისი აზრით, იყო დაუშვებელი.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ კლასში საშუალოდ სწავლობდა 10 მოსწავლე, შესაბამისად, 1 მოსწავლეზე გათვალისწინებული იყო საკმარისი რაოდენობის ფართი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ასევე ჰქონდა შიდა აუზი. დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ აუზი განთავსებული იყო შენობის პირველ სართულზე, ასევე შენობის გარეთ განთავსებული იყო 2 არასტანდარტული ზომის სპორტული მოედანი ფრენბურთისა და კალათბურთისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, როგორ დაარეგულირებდა სკოლა , რომ კლასში არ აღმოჩენილიყო 20 მოსწავლეზე მეტი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, თითოეული სასწავლო წლის დაწყების წინ სკოლა იღებდა იმდენ მოსწავლეს, რომ კლასში ყოფილიყო შესაბამისი რაოდენობა და მოსწავლეთა რაოდენობას არ გადაეჭარბებინა 20-ისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა ითხოვდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 406-ით განსაზღვრას.

საბჭოს წევრმა პავლე თვალიაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების“ თანახმად, 20 მოსწავლეზე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მინიმუმ 1 კომპიუტერი. ექსპერტთა დასკვნის თანახმად კი, სკოლის მფლობელობაში იყო 20 კომპიუტერი. შესაბამისად, პავლე თვალიაშვილის განმარტებით, სკოლას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 400 მოსწავლისთვის.

საბჭომ იმსჯელა შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხზე და მიიჩნია, რომ სკოლას ჰქონდა 400 მოსწავლის მომსახურებისათვის შესაბამისი რესურსი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიან საერო ელიტარულ საშუალო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245439020) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

2. შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელმა, რამაზ გიუნაშვილმა საბჭოს წარუდგინა დასკვნა და გააცნო მონიტორინგის შედეგები.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1. დაწესებულება, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, განთავსებულია ქ. კასპის სააკაძის ქ. N126-ში მდებარე სამსართულიან შენობაში, რომელიც შესყიდული აქვს აუქციონით. შენობის საერთო ფართობი 1504,03 კვ.მ-ია, პირველი და მეორე სართული გარემონტებულია, მესამე სართულზე მიმდინარეობს რემონტი. შესაბამისად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პირველ და მეორე სართულზე.

აღსანიშნავია, რომ შპს ბესიკ ნიპარიშვილი-მრავალპროფილიანი სკოლა- გიმნაზიამ შეიცვალა მისამართი და აღნიშნულ მისამართზე ფუნქციონირებს 2014 წლის 20 იანვრიდან (მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან).

2. ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებას აქვს 9 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის დაფებით. ვიზუალური დათვალიერებით საკლასო ოთახებში არის 50 ერთადგილიანი და 57 ორადგილიანი მერხი, შესაბამისი რაოდენობის სკამებით. მერხებისა და საკლასო ოთახების სიმცირის გამო სკოლაში მიმდინარეობს ორცვლიანი სწავლება, რაც დასტურდება წარმოდგენილი სასკოლო საათობრივი ბადითა და გაკვეთილების დაწყება-დამთავრების გრაფიკით, თუმცა აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე, რომლის მიხედვითაც, სკოლის მიერ მასალის შეძენის შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია სკოლას დაუმზადოს 120 მერხი 2014 წლის 1 სექტემბრამდე. არსებული მერხების შესყიდვის დოკუმენტაცია ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა, რადგან საბუთები ინახებოდა არქივში, თუმცა დასკვნის მომზადების პროცესში სკოლამ წარმოადგინა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვინაიდან დაწესებულების კონტიგენტი განსაზღვრულია 300 მოსწავლით, მერხების ფაქტობრივი რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ზღვრულ ოდენობას.

3. დაწესებულებას აქვს ლაბორატორიის სრული კომპლექტი, თუმცა შესყიდვის დოკუმენტაცია ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა, რადგან საბუთები ინახებოდა არქივში, მაგრამ დასკვნის მომზადების პროცესში სკოლამ წარმოადგინა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4. სკოლაში არის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკას აქვს დებულება, გამოკრულია სამუშაო საათები. თუმცა იმის გამო, რომ სკოლა ამ შენობაში ახალი გადმოსულია და ამასთან ბიბლიოთეკის მოწყობას აპირებს მესამე (სარემონტო) სართულზე, ამიტომ წიგნები არ იყო თაროებზე სათანადოდ განთავსებული, დასკვნის მომზადების პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ფოტომასალა საიდანაც ჩანს, რომ წიგნები განთავსებულია თაროებზე. დაწესებულების დირექტორის განმარტებით წიგნები თაროებზე დალაგებულია თემატურად. ბიბლიოთეკაში არის ყველა კლასის/საგნის სკოლის მიერ არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით (ჯიბაკები, ბეჭდები ნომრები). წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა, რადგან საბუთები ინახებოდა არქივში, თუმცა დასკვნის მომზადების პროცესში წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია.

5. ვიზიტის დროს არც ერთი სველი წერტილი არ იყო ადაპტირებული სსსმ მოსწავლეზე, თუმცა დასკვნის მომზადების პროცესში სკოლამ წარმოადგინა ერთ-ერთი მათგანის სათანადოდ მოწყობის დამადასტურებელი ფოტომასალა. დაწესებულებას ასევე არ გააჩნდა შიდა პანდუსები დასკვნის მომზადების პერიოდში ეს ხარვეზიც გამოსწორდა.

6. სკოლას გააჩნია 15 პერსონალური კომპიუტერი, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა, რადგან დოკუმენტაცია ინახებოდა არქივში, თუმცა დასკვნის მომზადების პროცესში სკოლამ წარმოადგინა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულების ვებგვერდი საჭიროებდა განახლებას. სკოლამ დასკვნის მომზადების დროს მოახდინა მისი განახლება.

7. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას გააჩნია სახანძრო დაფა ინსტრუმენტებითა და 2 ცეცხლმაქრით. დაწესებულებას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შემუშავებული ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მექანიზმი თუმცა დასკვნის მომზადების პერიოდში ეს ხარვეზიც აღმოფხვრილ იქნა..

8. დაწესებულებას აქვს 3 გარე და 5 შიდა უსაფრთხოების კამერა. გარეთ დამონტაჟებული კამერების პარამეტრების შესაბამისობა ვერ დგინდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანების მოთხოვნებთან.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა ბესიკ ნიპარიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მან ახლობელთან დამატებით გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ფიზიკური პირი კისრულობდა ვალდებულებას, სკოლის 57 ორადგილიანი მერხი გადაეკეთებინა ერთადგილიანად. ბესიკ ნიპარიშვილმა აღნიშნა, რომ ამჟამად სკოლას ჰქონდა 50 ერთადგილიანი, 57 ორადგილიანი მერხი. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლამ მონიტორინგის სამსახურს ასევე წარუდგინა ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე, რომლის მიხედვითაც, სკოლის მიერ მასალის შეძენის შემთხვევაში ფიზიკური პირი, კისრულობდა ვალდებულებას 2014 წლის 1 სექტემბრამდე დაწესებულებისთვის დაემზადებინა 120 ერთადგილიანი სასწავლო მერხი. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებაში ამჟამად ირიცხებოდა 231 მოსწავლე. სკოლას 2014 წლის 1 სექტემბრისთვის კი ექნებოდა 284 ერთადგილიანი მერხი. ბესიკ ნიპარიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლამ აუქციონის წესით იყიდა ახალი შენობა და აქამდე ამიტომ ვერ მოხერხდა მერხების შეძენა.

სხდომის თავმჯდომარე ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ერთადგილიანი მერხები, რომლებიც ჰქონდა დაწესებულებას შესაბამისი იყო თუ არა სამივე ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურისთვის. რამაზ გიუნაშვილმა აღნიშნა, რომ ის ერთადგილიანი მერხები, რომლებიც ჰქონდა დაწესებულებას შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო სამივე საფეხურზე სწავლებისთვის. დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ ორადგილიანი მერხები, რომელთა გადაკეთებაც იგეგმებოდა ერთადგილიანად და ის 120 ერთადგილიანი მერხი, რომლის დამზადებაც იგეგმებოდა 2014 წლის 1 სექტემბრამდე, ყველა მათგანი დააკმაყოფილებდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციებით" დადგენილ მოთხოვნებს.

საბჭოს წევრი პავლე თვალიაშვილი დაინტერესდა, რამდენი ჰქონდა დაწესებულებას განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა. რამაზ გიუნაშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 12 სექტემბრის N293 გადაწყვეტილებით სკოლის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300-ს. პავლე თვალიაშვილის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სკოლას უნდა ჰქონოდა 300 ინდივიდუალური მერხი.

სკოლის დირექტორმა საბჭოს წევრებს წარუდგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით, რამაზ გიუნაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლამ დასკვნის მომზადების პროცესში წარმოადგინა პანდუსებისა და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის დამადასტურებელი ფოტომასალა. აღნიშნული ფოტომასალა გასაცნობად გადაეცათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე. რამაზ გიუნაშვილმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ დაწესებულებაში ასეთი მოსწავლე არ ირიცხებოდა. პანდუსების დამონტაჟების ამსახველი ფოტომასალის ადგილზე დათვალიერების შედეგად, საბჭოს წევრმა პავლე თვალიაშვილმა აღნიშნა, რომ პანდუსების დახრის კუთხე იყო იმდენად დიდი, რომ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა გადაადგილებას.

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რა ინფორმაცია იყო გამოკრული სახანძრო დაფაზე. რამაზ გიუნაშვილმა აღნიშნა, რომ სახანძრო დაფაზე, რომელიც განთავსებული იყო შენობის პირველ სართულზე, იყო 2 ცეცხლმაქრი, ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლას გაეწია რეკომენდაცია, რომ ცეცხლმაქრები განეთავსებინა მე-2 სართულზე.

სხდომის თავმჯდომარე ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, რამდენი იყო შენობის პირველი და მეორე სართულის საერთო ფართი. რამაზ გიუნაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემული სართულების ფართი შეადგენდა 500 კვ.მ. ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ ცეცხლმაქრები ყველა სართულზე უნდა ყოფილიყო განთავსებული, დაახლოებით ყოველ 200 კვ.მ-ზე ერთი ცეცხლმაქრი.

უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაუმონტაჟა უსაფრთხოების კამერები. აღნიშნული ხელშეკრულებით, კამერების პარამეტრები არ იყო დადგენილი. ბესიკ ნიპარიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ამჟამად დაწესებულებას ჰქონდა უსაფრთხოების კამერების სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რამაზ გიუნაშვილმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის სამსახური კამერების შესაბამისობას ადგენდა იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგად ჩანდა შორი მანძილიდან გადაღებული კადრი, რამდენი ხნით ინახავდა კამერა ჩანაწერს. ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, სკოლაში დამონტაჟებული კამერების შესაბამისობის დადგენა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს N 1143 ბრძანების მოთხოვნებთან, იყო არამიზანშეწონილი, რადგან სკოლაში მთავარია დაცული ყოფილიყო მოსწავლეთა და მასწავლებლების უსაფრთხოება. შესაბამისად, მისი აზრით, აღნიშნული ხარვეზი არაარსებითი ხასიათის იყო.

ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, როგორ გადაამოწმა მონიტორინგის სამსახურმა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება. ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა რამაზ გიუნაშვილს, ფოტომასალის გარდა, დაწესებულებამ წარმოადგინა, თუ არა წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ავტორიზაციის ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ წიგნების არსებობის ფაქტი მონიტორინგის ჯგუფმა ადგილზე გადაამოწმა, თუმცა აღნიშნული წიგნები არ იყო დალაგებული საბიბლიოთეკო წესით. ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, რომელ სართულზე

იყო განთავსებული ბიბლიოთეკა. ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა განთავსებული იყო შენობის პირველ სართულზე.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, შეიძლებოდა თუ არა მერხების დამზადების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებაში შესულიყო ცვლილება და დამამზადებელს გაეკეთებინა არა 120 არამედ 136 ერთადგილიანი მერხი, რომ დაწესებულებას 300 მოსწავლისთვის ჰქონოდა შესაბამისი მატერიალური რესურსი. პავლე თვალიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ დადებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, დაწესებულებას 2014 წლის 1 სექტემბრისთვის ექნებოდა 284 მერხი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის დასაკმაყოფილებლად ესაჭიროებოდა დამატებით 16 ინდივიდუალური მერხი.

ბესიკ ნიპარიშვილმა განმარტა, რომ ხელშეკრულების მიხედვით, ერთადგილიანი მერხების დამზადება დასრულდებოდა 2014 წლის 1 სექტემბრისთვის. შესაბამისად, სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს სთხოვა 2014 წლის 1 სექტემბრამდე მისცემოდა დაწესებულებას ვადა, გამოესწორებინა აღნიშნული ხარვეზი. პავლე თვალიაშვილმა განმარტა, რომ კანონმდებლობის მიხედვით, საბჭოს ხარვეზების გამოსასწორებლად შეეძლო დაწესებულებისთვის განესაზღვრა მაქსიმუმ 15 დღე.

სხდომის თავმჯდომარემ ლაშა მკურნალიძემ ადგილზე გადაამოწმა მერხების დამზადების თაობაზე ფიზიკურ პირთან დადებული ხელშეკრულება. ლაშა მკურნალიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მოცემული ხელშეკრულება იყო უსასყიდლო და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში არაფერი იყო მოცემული მხარეთა უფლება-მოვალეობების თაობაზე. შესაბამისად, ლაშა მკურნალიძის მოსაზრებით, ხელშეკრულებაში მოცემული ინფორმაცია უნდა ყოფილიყო აუცილებლად ასახული.

სხდომის თავმჯდომარე ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, როდის შეძლებდა დაწესებულება დამატებით 16 ერთადგილიანი მერხის შეძენას. ბესიკ ნიპარიშვილმა აღნიშნა, რომ თუ შესაძლებელი იყო საბჭოს ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრა 15 დღიანი ვადა. ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ მერხების დამზადების თაობაზე დადებული ხელშეკრულებას უნდა გაეთვალისწინებინა ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა და ასევე მხარეთა პასუხისმგებლობის ზომებიც, თუ რომელიმე მათგანი ვერ ან არაჯეროვნად შეასრულებდა ნაკისრს ვალდებულებებს.

სხდომის თავმჯდომარემ, ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას 15 დღის ვადაში უნდა წარმოედგინა იმ რაოდენობის მერხის დამზადების თაობაზე დადებული ხელშეკრულება, რომელიც საკმარისი იქნებოდა 300 მოსწავლის განთავსებისთვის.

რამაზ გიუნაშვილის მოსაზრებით, 120 მერხის დამზადება 2 კვირის განმავლობაში საკმაოდ რთული იქნებოდა. ამ ეტაპზე დაწესებულებაში ირიცხებოდა 231 მოსწავლე და საკმარისი რაოდენობის მერხების არ ქონის გამო სწავლა მიმდინარეობდა 2 ცვლაში.

საბჭოს წევრის პავლე თვალიაშვილის მოსაზრებით, საბჭოს უნდა ემსჯელა იმ მატერიალური რესურსის ფარგლებში, რაც დაწესებულებას ამჟამად ჰქონდა და არა იმაზე, თუ რა ექნებოდა მომავალში. მოცემულ შემთხვევაში, რამაზ გიუნაშვილის განმარტებით, სკოლას 2 კვირაში უნდა დაემზადებინა 250 ერთადგილიანი მერხი.

სკოლის დირექტორმა ბესიკ ნიპარიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგენდა მერხების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა 300 მოსწავლისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს წევრის პავლე თვალიაშვილის მოსაზრებით, სკოლის ხელმეორედ გადამოწმება უნდა მომხდარიყო 2014 წლის სექტემბრის თვეში, როდესაც მერხების დამამზადებელი მიაწვდიდა სკოლას ხელშეკრულებით განსაზღვრული რაოდენობის ერთადგილიან მერხებს.

ლაშა მკურნალიძემ განმარტა, რომ სასწავლო პროცესს არ უნდა შეჰქმნოდა საფრთხე, კერძოდ, თუ მაგალითად: დაწესებულებას ჰქონდა 150 ერთადგილიანი მერხი, პირველ ან მეორე ცვლაში მოსწავლეთა რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო 150-ზე მეტი.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის სტანდარტებთან შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ხარვეზების სრულად აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებისათვის 15-დღიანი ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 შესაბამისად, გადაიდოს შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 15 დღის ვადა.

3. შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებმა, რამაზ გიუნაშვილმა და ნოდარ ანგურიძემ საბჭოს წარუდგინეს დასკვნა და გააცნეს მონიტორინგის შედეგები. ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ დაწესებულებამ საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ 15 დღეში გამოასწორა ყველა ხარვეზი. ნოდარ ანგურიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა ის ხარვეზები, რაც დაწესებულების მიერ აღნიშნულ ვადაში იყო გამოსწორებული.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლამ მონიტორინგის ჯგუფს წარმოუდგინა 2013-2014 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებიდან სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის:

1) სკოლის მისია.

2) სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს რამოდენიმე სახის დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობას: „თვალსაწიერი"; „ფანტაზია და მარჯვე ხელები"; „ცეკვა ქართული"; „ჯანმრთელობა (შეხვედრა ექიმთან)"; „მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი". სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია ამ მომსახურებათა ჩამონათვალი, ჩატარების დღეები და დროები, კლასებისა და მასწავლებლების მითითებით, თუმცა ეროვნული სასწავლო გეგმის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად „ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ან გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების შესათავაზებლად სკოლამ უნდა განსაზღვროს:

ა) დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი;

ბ) დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახე (ფაკულტატური/ სავალდებულო);

გ) თითოეული დამატებითი საგნისათვის სკოლის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა (თუ ასეთი გეგმა არ არის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში);

დ) სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნის/ საგნების შეფასების პრინციპები. ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს მხოლოდ „თვალსაწიერი", დანარჩენი არა.

3) სკოლა V კლასიდან იწყებს მეორე და მესამე უცხო ენის სწავლებას (რუსული და ფრანგული), ეროვნული სასწავლო გეგმის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად „სკოლა უფლებამოსილია გამონაკლისის სახით, სამინისტროსთან შეთანხმებით, მეორე უცხოური ენის სწავლება დაიწყოს ნებისმიერი კლასიდან.", თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა ნებართვა სამინისტროდან, მაგრამ დასკვნის მომზადების პროცესში წარმოადგინა 2013 წლის 18 დეკემბრის №01-05/9 კორესპონდენცია, რომლითაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ითხოვს ნებართვას.

სასკოლო სასწავლო გეგმის დარჩენილი ნაწილები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ნაწილებთან და მათ მოთხოვნებთან, მაგრამ სასკოლო

მისიის არ ქონის გამო დაუდგენელია რამდენად გამომდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმა სკოლის მისიიდან.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები, თუმცა აღსანიშნავია, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სპორტის ორ სახეობას (მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი), მაშინ როცა ეროვნული სასწავლო გეგმის სპორტის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით საბაზო საფეხურზე უნდა შესთავაზოს მინიმუმ სამი სახეობა.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმაში არის პუნქტი „სსსმ მოსწავლე" სადაც აღწერილია როგორი მოსწავლე მიეკუთვნება სსსმ მოსწავლეთა კატეგორიას და რის გაკეთებას აპირებს სკოლა ასეთი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში. დირექტორის განმარტებით მათ ჰყავთ ერთი სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ეროვნული სასწავლო გეგმის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ის წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს, ამდენად სკოლა ვერ უზრუნველყოფს ყველა მოსწავლეს განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. დასკვნის მომზადების პროცესში სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ერთი მოსწავლისთვის.

1.4 სასკოლო სასწავლო გეგმაში არის შეფასების ზოგადი სისტემა, მაგრამ არ არის მოსწავლეთა შეფასება კონკრეტული საგნებისა/კლასებისა და კომპონენტების მიხედვით, სკოლაში არ არის საკლასო ჟურნალები, დირექტორის განმარტებით მიმართა შესაბამის რესურსცენტრს ჟურნალების მოთხოვნით, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიუღია.

1.5 სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. მშობელის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია სკოლის წესდების მე-7 მუხლით, თუმცა ამავე მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტში ვკითხულობთ, რომ მშობელს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა გიმნაზიის მართვაში, ანუ არჩეული იქნას სამეურვეო საბჭოში.... სამეურვეო საბჭო კი სკოლას არ ჰყავს, ამდენად გაურკვეველია მშობელთა უფლებები გინნაზიის მართვის კუთხით. დირექტორმა განმარტა, რომ წესდება მოძველებულია და საჭიროებს გადახედვას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული მუხლის სხვა პუნქტები აღწერს მშობლისა და გიმნაზიის ურთიერთობებს

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულებას არ გააჩნია სპორტული დარბაზი და სპორტული მოედანი.

2.2 სკოლის შენობაში განთავსებულია 3 სველი წერილი. სკოლას არ გააჩნია ადაპტირებული სველი წერტილი. დასკვნის მომზადების პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა გამოსწორების დამადასტურებელი ფოტომასალა.

2.3 სკოლაში არის ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი ფართი, სადაც თაროებზე არის განთავსებული წიგნები. მათ შორის არის სკოლის მიერ არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. სკოლა ვერ ადასტურებს წიგნების ფლობას. დასკვნის მომზადების პროცესში, სკოლამ წარმოადგინა ნაწილობრივ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2.4 სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლეებისათვის ადაპტირებული გარემო. პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილი. დასკვნის მომზადების პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა გამოსწორების დამადასტურებელი ფოტომასალა.

2.5 დაწესებულებას გაწერილი არ აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას გააჩნია 3 ცეცხლმაქრი.

2.6 დაწესებულებაში არ არსებობს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, თუმცა დირექტორის ზეპირი განმარტებით, სკოლას ჰყავს ექთანი.

2.7 დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა 1 გარე და 3 შიდა კამერის არსებობა.

2.8 დაწესებულებას არ აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება და შინაგანაწესი.

დირექტორის განმარტებით, სკოლის წესდება და შინაგანაწესი მოძველებულია და საჭიროებს გადახედვას და ცვლილებების შეტანას.

2.9 დაწესებულებაში არ მიმდინარეობს გამოცემული აქტების აღრიცხვა. არ არსებობს ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი. დაწესებულებაში მიმდინარეობს კორესპონდენციების აღრიცხვა, რისთვისაც არსებობს, შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალები.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

4. საგანმანათლებლო სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესრულებასთან მიმართებით:

4.1 სკოლამ ვერ წარმოადგინა V-IX კლასების საკლასო ჟურნალები. 2013 წლის 10 სექტემბერს სკოლამ აცნობა ქ. ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრს საგანმანათლებლო საქმიანობის განახლების შესახებ (რესურსცენტრში რეგისტრაციის №01-12.845 07.10.2013 წ.). 2013 წლის 10 ოქტომბერს სკოლამ მიმართა ქ. ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრს I-IV და V-IX კლასების საკლასო ჟურნალებით უზრუნველყოფის მოთხოვნით. სკოლას გადაეცა მარტო I-IV კლასების საკლასო ჟურნალები. V-IX კლასების საკლასო ჟურნალები სკოლას არ მიუღია. ქ. ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ინფორმაციით, მან მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჟურნალების თაობაზე, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ მიუღია.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, თუ როგორ გამოასწორა დაწესებულებამ შეფასების სისტემასთან დაკავშირებული შენიშვნები. ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ შესაბამისმა რესურსცენტრმა სკოლას გადასცა სასკოლო ჟურნალები. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ მონიტორინგის სამსახურს წარუდგინა ჟურნალების მიღება-ჩაბარების აქტი. სხდომის თავმჯდომარე ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ რატომ დააგვიანა რესურსცენტრმა ჟურნალების გადმოცემა.

სხდომის თავმჯდომარე ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ როგორ გამოასწორა სკოლამ 1.5 პუნქტში დაფიქსირებული შენიშვნა, კერძოდ სამეურვეო საბჭოს არარსებობის საკითხი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული რეგულაცია ეწერა სკოლის ძველ წესდებაში, შესაბამისად, მოცემული ჩანაწერი სკოლის მიერ იქნა საერთოდ ამოღებული. საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, თუ როგორ იყო ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი მშობლების მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით სკოლა მრავალ აქტივობას ახორციელებდა, მაგალითად: მშობლების მიერ გაკვეთილებზე დასწრება, მშობლებისთვის სპეციალური კითხვარების შემუშავება, ელექტრონული საშუალებებით წერილების მიწერა და სხვა.

სხდომის თავმჯდომარე ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ როგორ გამოასწორა დაწესებულებამ 2.4-2.6 პუნქტებში მოცემული ხარვეზები. ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ზემოაღნიშნული შენიშვნების გამოსწორების თაობაზე წარმოადგინა შესაბამისი ფოტომასალა და დოკუმენტაცია.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ როგორ გამოსწორდა სპორტულ დარბაზთან დაკავშირებული შენიშვნა. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ იქირავა სპორტული დარბაზი.

სხდომის თავმჯდომარემ ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელი ხარვეზი იყო სკოლისთვის ყველაზე რთულად

გამოსასწორებელი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ხელშეწყობისთვის მადლობელი იყო მონიტორინგის სამსახურის. რაც შეეხება შედარებით რთულად გამოსასწორებელი ხარვეზები, ისინი აღმოჩნდა რომლებიც დამატებით ფინანსურ რესურსებს მოითხოვდნენ.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ვებგვერდი. სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს უთხრა დაწესებულების ვებგვერდის მისამართი. საბჭოს წევრების მიერ ადგილზე გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლის ვებგვერდი ფუნქციონირებდა.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ასეთი მოსწავლე ჰყავდა და მისთვის ადაპტირებული გარემო ჰქონდა უზრუნველყოფილი.

საბჭომ განიხილა შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიის (ს/კ: 245437772) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

სხდომაზე 18:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:50 საათზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი - ზვიად მიმინოშვილი.

4. შპს ცოდნაში (ს/კ: 229722324) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებმა, რამაზ გიუნაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2014 წლის 21 თებერვალს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ განიხილა შპს ცოდნაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, სადაც იყო გამოვლენილი ხარვეზები, რომელთა გამოსასწორებლადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ დაწესებულებას ხარვეზების გამოსასწორებლად განუსაზღვრა 15 დღიანი ვადა, მიუხედავად ამისა დაწესებულებამ ვერ შეძლო შენიშვნების სრულად გამოსწორება და დარჩა შემდეგი სახის ხარვეზები:

1. დაწესებულებას ფართის ფლობაზე არ აქვს საჯარო რეესტრის ამონაწერი;
2. დაწესებულებას არ გააჩნია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის (100) შესაბამისი მერხები და მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
3. დაწესებულებას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია;
4. დაწესებულებას არ აქვს ვებგვერდი;
5. დაწესებულებას არ გააჩნია გარე და შიდა პერიმეტრის უსაფრთხოების კამერები;
6. დაწესებულებას არა აქვს სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი ადაპტირებული გარემო (პანდუსები, სველი წერტილი).

მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა რამაზ გიუნაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებისთვის განსაზღვრული 15 დღიანი ვადა იწურებოდა 2014 წლის 8 მარტს. თუმცა, სკოლამ ხარვეზების გამოსწორების თაობაზე დოკუმენტაცია ცენტრში მატერიალური და ელექტრონული სახით ეტაპობრივად წარმოადგინა 2014 წლის 13 მარტის ჩათვლით.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, ხარვეზები, რომლებიც საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა მონიტორინგის სამსახურმა, იქნა თუ არა გამოსწორებული 2014 წლის 13 მარტს შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე? რამაზ გიუნაშვილმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ხარვეზები დაწესებულებას 2014 წლის 13 მარტს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგადაც არ ჰქონდა გამოსწორებული. შესაბამისად, დაწესებულებას ზემოაღნიშნული შენიშვნები უფიქსირდებოდა 2014 წლის 4 აპრილის მდგომარეობით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ არ გამოასწორა სკოლამ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში მოცემული ხარვეზები. დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ სკოლა ეთანხმებოდა და იზიარებდა ყველა შენიშვნას. სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებამ ფინანსურად ვერ შესძლო მოცემული შენიშვნების გამოსწორება.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ეთანხმებოდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში მოცემულ ხარვეზებს და ადასტურებდა თუ არა, რომ წარმოდგენილი შენიშვნები არ იყო გამოსწორებული. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმებოდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შენიშვნებს და ადასტურებდა, რომ წარმოდგენილი შენიშვნები არ იყო გამოსწორებული.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ფუნქციონირებდა თუ არა სოფელ შუამთაში სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სოფელ შუამთაში ფუნქციონირებდა საჯარო სკოლა. საბჭოს წევრი ზვიად მიმინოშვილი დაინტერესდა, რამდენი პედაგოგი იყო დასაქმებული სკოლაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 19 მასწავლებელი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ კანონმდებლობის მიხედვით, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება დადგენილ ვადებში არ გამოასწორებს ხარვეზებს, საბჭო უფლებამოსილი იყო მიეღო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული შესახებ იყო ინფორმირებული. სკოლის დირექტორმა თხოვნით მიმართა საბჭოს წევრებს, თუ იყო შესაძლებელი, რომ მოსწავლეებს მიმდინარე სემესტრი დაემთავრებინათ შპს ცოდნაში და ამის შემდგომ გადასულიყვნენ სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. სხდომის თავმჯდომარემ ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება კარგავს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს და მოსწავლეებს უფლება აქვთ, გადავიდნენ სხვა შესაბამის დაწესებულებაში.

საბჭომ განიხილა შპს ცოდნაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცოდნის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს ცოდნას (საიდენტიფიკაციო კოდი: 229722324) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

5. შპს ეროვნულ სკოლა გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებმა, ნოდარ ანგურიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლას შემუშავებული აქვს 2013-2014 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის საათობრივ ბადეში, მეათე კლასში არჩევითი საგანი არ არის მითითებული, მეთერთმეტე კლასში კი ორი არჩევითი საგანია, დასკვნის მომზადების პერიოდში სკოლამ გამოასწორა არსებული ხარვეზი და მეთერთმეტე კლასიდან ერთი არჩევითი საგანი გადმოიტანა მეათე კლასში. გარდა ამისა მე-8 კლასში არ ისწავლება ქიმია, დასკვნის მომზადების პროცესში სკოლამ ეს ხარვეზიც გამოასწორა;

1.2 სკოლამ წარმოადგინა ყველა კლასის, ყველა საგნის სილაბუსები და თემატური გეგმები, გარდა მეშვიდე კლასის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლებისა, მერვე კლასის ქიმიისა და მეთერთმეტე კლასის საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოებისა. ეს ხარვეზები გამოსწორებულია დასკვნის მომზადების პერიოდში;

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი სახელმძღვანელოების ჩამონათვალი არ შეესაბამება 2012 წლის გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, თუმცა სკოლამ, დასკვნის მომზადების პროცესში წარმოადგინა სახელმძღვანელოების ნუსხა, რომელიც შეესაბამება გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სკოლის მიერ მონიტორინგის სამსახურში გამოგზავნილი შეტყობინებიდან ირკვევა, რომ სკოლა ფუნქციონირებას იწყებს ახალ მისამართზე, კერძოდ ქ. ქუთაისი წერეთლის ქ. 192-ში და საიჯარო ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრში დარეგისტრირებას აპირებს 17 მარტს. ვიზიტის პერიოდში გამოირკვა, რომ სკოლას დასრულებული არ ჰქონდა მფლობელთან იჯარის ხელშეკრულების გაფორმება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. შენობაში იწყება სარემონტო სამუშაოები რომელთა დასრულებას ვარაუდობენ 2014 წლის 25 ივლისს რაზეც დაწესებულებამ წარმოადგინა მშენებელ შპს „ზოდი"-ს წერილი; მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს მოძრავი მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება ვერ მოხერხდა ვინაიდან დირექტორის განმარტებით შენობა დაუცველია და უსაფრთხოების მიზნით დაწესებულების მოძრავი მატერიალური რესურსი ინახება სკოლის პედაგოგების ოჯახებში სხვადასხვა ადგილას. დაწესებულების მატერიალური რესურსის გადამოწმება მოხდა მხოლოდ შეძენისა და ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რომლის თანახმადაც დაწესებულებას გააჩნია:

2.1.1 გარე უსაფრთხოების 3 (სამი) კამერა თუმცა მათ პარამეტრების დადგენა ვერ მოხერხდა რადგან ვერ წარმოადგინეს კამერების ტექნიკური პასპორტი.

2.1.2 40 (ორმოცი) ერთ ადგილიანი მერხი და 11 (თერთმეტი) მაგიდა რომელიც დირექტორის განმარტებით გამოიყენებოდა პედაგოგებისათვის მაგრამ დაწესებულებამ დამატებით შეიძინა 12 (თორმეტი) ორადგილიანი მაგიდა რომელიც გადაეცა პედაგოგებს,

ხოლო პედაგოგების 11 (თერთმეტი) მაგიდა კი მოსწავლეებს, ზემო აღნიშნულ ყველა მერხსა და მაგიდას გააჩნია შესაბამისი რაოდენობის სკამი;

2.1.3 დაწესებულებას შესყიდული აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია;

2.1.4 დაწესებულების მფლობელობაშია 12 (თორმეტი) კომპიუტერი;

2.1.5 დაწესებულებას გააჩნია 2330 წიგნადი ფონდი მათ შორის VII-XII კლასის სახელმძღვანელოებიც (ჩუქების აქტებიდან გამომდინარე ვერ ირკვევა მათი შესაბამისობა გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებთან);

2.1.6 დაწესებულებას აქვს სპორტული ინვენტარის ჩუქების დოკუმენტაცია;

2.1.7 დირექტორის განმარტებით შენობის რემონტის შემდეგ შენობაში გათვალისწინებული იქნება სსსმ მოსწავლისათვის შესაფერისი გარემო და შენობა აღჭურვილი იქნება ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ყველა სართულებზე გამოკრული იქნება ევაკუაციის გეგმა.

3.ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 სკოლას წინსწრებით დადებული აქვს დროებითი შრომითი ხელშეკრულებები თანამშრომლებთან, სადაც დარღვეულია საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც:

ა) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა;

ბ) სამუშაო დრო და დასვენების დრო;

გ) სამუშაო ადგილი;

დ) თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე;

ე) შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი;

ვ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;

ზ) ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.

მონიტორინგის ჯგუფის წევრმა რამაზ გიუნაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მას გადაღებული ჰქონდა იმ შენობის ფოტოები, სადაც დაწესებულება გეგმავდა გადასვლას. საბჭოს წევრების მოთხოვნით, საბჭოს სხდომაზე გაიმართა აღნიშნული ფოტოების ჩვენება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ქ. ქუთაისში, წერეთლის ქუჩა №192-ში მდებარე ნაგებობა იყო ყოფილი საწარმოს შენობა, რომლის აზომვითი ნახაზებიც არ არსებობდა და ამიტომ ვერ მოხერხდა იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული შენობის მფლობელმა უკვე მიმართა შესაბამის ორგანოებს და ისინი ახორციელებდნენ შენობისთვის ნახაზების დამზადებას. ამასთან, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენობის მფლობელმა სამშენებლო კომპანიასთან დადო ხელშეკრულება და კომპანია შენობა-ნაგებობის რემონტს დაასრულებდა 2014 წლის 25 ივლისისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელთ ჰქონდა შენობის მესაკუთრის მიერ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება და სარემონტო სამუშაოების ჩატარების შესახებ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა.

საბჭოს წევრმა თინათინ ცერცვაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ კომპანია თავის ვალდებულებებს შეასრულებდა პირნათლად და შენობის გარემონტებას მოასწრებდა 2014 წლის 25 ივლისამდე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ კომპანიისგან მიიღეს გარანტია, რომ სარემონტო სამუშაოები დასრულდებოდა აღნიშნულ ვადაში. ხელშეკრულების ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ხელშეკრულება დადებული იყო სამშენებლო კომპანიასა და შენობის მესაკუთრეს შორის. ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა შპს ეროვნულ სკოლა-გიმნაზიას იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული შენობის მესაკუთრესთან.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის შპს ეროვნულ სკოლა- გიმნაზიას შენობის მესაკუთრესთან იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული არ ჰქონდა, რადგან იჯარის

ხელშეკრულების გაფორმება იგეგმებოდა 2014 წლის 15 აპრილს. ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ სკოლას ფართის ფლობის დასადასტურებლად იჯარის ხელშეკრულება უნდა ჰქონოდა აუცილებლად გაფორმებული და ეს ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო საჯარო რეესტრში. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იჯარის ხელშეკრულების გაფორმება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა და აუცილებლობის შემთხვევაში შეეძლო აღნიშნული დოკუმენტი მეორე დღესვე წარედგინა საბჭოსთვის.

ლაშა მკურნალიძემ ადგილზე გადაამოწმა სამშენებლო კომპანიის შპს ,,ზოდის" მიერ შედგენილი წერილი, რომლის მიხედვითაც კომპანია სარემონტო სამუშაოების დამთავრებას ვარაუდობდა 2014 წლის 25 ივლისისთვის. აღნიშნულ დოკუმენტზე არ იყო მოცემული წერილის შედგენის თარიღი, შესაბამისად, ლაშა მკურნალიძის მოსაზრებით, მოცემული წერილი ვერ ჩაითვლებოდა ოფიციალურ დოკუმენტად. ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა სკოლას გაფორმებული ხელშეკრულება შპს ,,ზოდთან". სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს ,,ზოდთან" ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა შენობის მესაკუთრეს და არა სკოლას. რამაზ გიუნაშვილმა განმარტა, რომ სამშენებლო კომპანიას ხელშეკრულება დადებული ჰქონდა შენობის მესაკუთრესთან, რომელიც შემდგომ შენობას მიაქირავებდა სკოლას. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლა ფართის ფლობასთან დაკავშირებული თანხის გადახდას იწყებდა 2014 წლის 25 ივლისიდან.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას ფართის მართლზომიერი ფლობის დასადასტურებლად სჭირდებოდა წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამ ეტაპზე კი დაწესებულებას ფართის ფლობის თაობაზე შენობის მესაკუთრესთან ხელშეკრულება არ ჰქონდა გაფორმებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას შენობის მესაკუთრესთან ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, თუმცა, ვინაიდან, ხელშეკრულება საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული, ამიტომ არ ჰქონდა წამოღებული საბჭოს სხდომაზე. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ თუკი შპს ,,ზოდი" დადგენილ ვადაში ვერ მოასწრებდა სარემონტო სამუშაოების დასრულებას, შენობის მესაკუთრე დააჯარიმებდა კომპანიას.

მოძრავ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა რესურსი სკოლას გააჩნდა, თუმცა ვინაიდან შენობა იყო სარემონტო, სკოლის ინვენტარი ინახებოდა სხვადასხვა მასწავლებლის სახლებში. ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მატერიალური რესურსის გადამოწმება მოხდა მხოლოდ შეძენის, ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაციით და ვერ მოხერხდა მათი ვიზუალური დათვალიერება. საბჭოს წევრმა პავლე თვალიაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას პედაგოგებთან, მატერიალურ რესურსზე, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ყველაფერი აღრიცხული იყო ბუღალტერიაში და სარეგისტრაციო წიგნში. პავლე თვალიაშვილი დაინტერესდა, ნახა თუ არა აღნიშნული დოკუმენტაცია მონიტორინგის ჯგუფმა. ნოდარ ანგურიძემ საბჭოს მოახსენა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია მონიტორინგის ჯგუფს არ ჰქონდა ნანახი. პავლე თვალიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ არ გადაეცა მოცემული დოკუმენტაცია მონიტორინგის ჯგუფს. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის მიერ აღნიშნული დოკუმენტაცია არ იქნა მოთხოვნილი.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, რამდენი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა სკოლა. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლა ამ ეტაპზე ახორციელებდა 2 საფეხურის პროგრამებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტართან დაკავშირებით სკოლას დადებული ჰქონდა შესაბამისი ხელშეკრულება, მაგრამ ვინაიდან შენობა იყო სარემონტო, ამიტომ არ იყო მასში

განთავსებული მოცემული აღჭურვილობა. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ იგეგმებოდა საევაკუაციო გეგმების შედგენა და განთავსება. ამასთან, დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ შესაბამისი ორგანოებისგან მიიღო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 2014 წლის ივლისის თვიდან სკოლებში უნდა დამონტაჟებულიყო ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემა.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ შენიშვნასთან დაკავშირებით, ლაშა მკურნალიძემ მოითხოვა ერთ-ერთი ხელშეკრულების ადგილზე გადამოწმება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვინაიდან დაწესებულება არ ფუნქციონირებდა და საქმიანობის დაწყებას აპირებდა 2014 წლის სექტემბრის თვიდან, ამიტომ იყო მასწავლებლებთან დადებული ასეთი ტიპის შრომითი ხელშეკრულებები. შესაბამისად, დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ პედაგოგებს წინასწარ ვერ განუსაზღვრავდა შრომის ანაზღაურების ოდენობას, ვინაიდან არ იცოდა, თუ რამდენი მოსწავლე ეყოლებოდა სექტემბრის თვეში. მასწავლებლების შრომის ანაზღაურება დამოკიდებული იქნებოდა მოსწავლეთა რაოდენობაზე. საბჭოს წევრის თინათინ ცერცვაძის მოსაზრებით, დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების შემდგომ, იგი უნდა ახორციელებდეს საგანმანათლებლო საქმიანობას და თუკი მონიტორინგის სამსახური აღმოაჩენს, რომ ავტორიზებული პირი აღარ ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, მაშინ შესაძლოა დღის წესრიგში დამდგარიყო აღნიშნული პირისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ იზიარებდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ ადამიანურ რესურსთან დაფიქსირებულ შენიშვნას. ლაშა მკურნალიძემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ შრომითი ხელშეკრულებები უნდა ითვალისწინებდნენ საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლით დადგენილ პირობებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან სკოლა ფუნქციონირებას იწყებდა 2014 წლის სექტემბრის თვიდან, ამ პერიოდიდან გაუფორმებდა მასწავლებლებს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილ შრომით ხელშეკრულებებს.

სხდომაზე 19:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:38 საათზე.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ ავტორიზებული დაწესებულება ავტორიზაციის სამივე სტანდარტს ავტორიზაციის მოქმედების პერიოდში უწყვეტ რეჟიმში უნდა აკმაყოფილებდეს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ სრულდებოდა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

საბჭომ განიხილა შპს ეროვნულ სკოლა გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ეროვნულ სკოლა გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს ეროვნულ სკოლა გიმნაზიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 212836573) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:41 საათზე.

თავმჯდომარე
ლაშა მკურნალიძე

მდივანი
მაია მაღლაკელიძე